საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ქეთინო არეშიძე

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 18.11.2019

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 143/19

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ლამარა ბარკალაიას მიმართ /სიითი № 4052/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლამარა ბარკალაიასთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორების პოზიცია:**

1.1 2019 წლის 18 ნოემბერს, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ქეთინო არეშიძემ და მოითხოვა ადვოკატ ლამარა ბარკალაიასთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2017 წელს სამემკვიდრეო სამართლებრივ დავაში დახმარების მიზნით მიმართა ადვოკატ ლამარა ბარკალაიას. ადვოკატმა აუხსნა, რომ სასამართლოში საქმის მოგების პერსპექტივა დაახლოებით 80/20-ზე იყო, რის შემდეგაც მხარეებმა გააფორმეს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც ადვოკატს მისთვის არ გადაუცია.

1.3 ქეთინო არეშიძის განმცხადებით, შეთანხმების მიხედვით ადვოკატ ლამარა ბარკალაიას სარჩელით უნდა მიემართა სასამართლოსთვის ქეთინო არეშიძის მამის დანაშთ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით და საჭიროების შემთხვევაში ადვოკატი მის ინტერესებს

წარმოადგენდა სამივე ინსტანციის სასამართლოში. ადვოკატის ანაზღაურება განისაზღვრა 2500 ლარით, რაც მოიცავდა როგორც სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელებას, ასევე იმ შემთხვევას, თუ დავა პირველი ინსტანციის სასამართლოში დასრულდებოდა. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა შეთანხმებული ჰონორარის ოდენობა სრულად და ასევე გადაიხადა სახელმწიფო ბაჟის თანხა - 2000 ლარი, ხოლო ადვოკატმა თბილისის საქალაქო სასამართლოში წარადგინა სარჩელი.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2018 წლის 20 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და მას ასევე დაეკისრა მოწინააღმდეგე მხარის მიერ ადვოკატისთვის გაწეული ხარჯი - 2000 ლარის ოდენობით. სასამართლო პროცესს არ ესწრებოდა თავად ქეთინო არეშიძე, თუმცა სხდომას ესწრებოდნენ მისი ნათესავები. ადვოკატმა აცნობა ქეთევან არეშიძეს საქმის შედეგი და შეუთანხმდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას გაასაჩივრებდა სააპელაციო წესით და წარმოადგენდა მის ინტერესებს ზემდგომ ინსტანციებში.

1.5 საჩივრის ავტორისთვის და ადვოკატ ლამარა ბარკალაიასთვის ცნობილი იყო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა 2018 წლის 03 მაისს გადიოდა. ქეთინო არეშიძის განმარტებით, მას სხვა პირთა მხრიდან ეცნობა, რომ გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით სასამართლოსთვის წერილობითი განცხადებით უნდა მიემართა, თუმცა ადვოკატმა ლამარა ბარკალაიამ აუხსნა მას, რომ ეს არ იყო სავალდებულო მოთხოვნა გადაწყვეტილების ჩასაბარებლად.

1.6 ქეთინო არეშიძის პრეტენზიით, ადვოკატმა ლამარა ბარკალაიამ გაუშვა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა და გადაწყვეტილება შევიდა კანონიერ ძალაში. საჩივრის ავტორის აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ძალიან განიცადა ვადის გაშვება და საკუთარი ხარჯებით მიმართა ზემდგომ ინსტანციებს ვადის აღდგენის მოთხოვნით, თუმცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინებებით აღნიშნული მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ამის შემდეგ მხარეები შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი აანაზღაურებდა კლიენტის მიერ სასამართლოში გადახდილ ბაჟის თანხას და მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატისთვის გადასახდელ თანხას - 2000 ლარს, რომელიც ქეთინო არეშიძეს სასამართლოს გადაწყვეტილებით დაეკისრა. ქეთინო არეშიძისთვის მნიშვნელოვანი იყო თანხის დაბრუნება, დავის ხელახლა დაწყების მიზნით, თუმცა ადვოკატს თანხა არ დაუბრუნებია.

2. მოწმის ახსნა-განმარტება:

2.1 2020 წლის 20 თებერვალს ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მოწმის სახით გამოიკითხა ქეთევან არეშიძის მამიდა - ა. ა..

2.2 მოწმის განმარტებით, 2017 წლის მარტის თვეში ქეთინო არეშიძე იმყოფებოდა საზღვარგარეთ, რის გამოც დაუკავშირდა მას და სთხოვა სასამართლოს სხდომაზე დასწრება. ა. ა. თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაწყვეტილების გამოტანის დროს ესწრებოდა სასამართლოს სხდომას. მოწმის განმარტებით, სასამართლო სხდომაზე ქეთინო არეშიძის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი ლამარა ბარკალაია და სხდომის დარბაზში ასევე იმყოფებოდა ადვოკატის რამოდენიმე სტაჟიორი.

3. ადვოკატ ლამარა ბარკალაიას პოზიცია:

3.1 2019 წლის 12 დეკემბერს, სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში ადვოკატმა ლამარა ბარკალაიამ წარმოადგინა ახსნა-განმარტება და მონაწილეობა მიიღო 2020 წლის 20 იანვარს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაზე და 2020 წლის 05 ოქტომბერს გამართულ განხილვის კოლეგიის სხდომაზე. ადვოკატი არ ეთანხმება საჩივრის ავტორის პრეტენზეიებს.

3.2 ადვოკატის განმარტებით, ქეთინო არეშიძესთან გააფორმა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც გადასცა საჩივრის ავტორის დედას, ქეთინო არეშიძის მიერ ხელშეკრულებაზე ხელმოწერის მიზნით. ხელშეკრულების ის ეგზემპლარი, რომელიც ადვოკატმა დაიტოვა, ახალ ოფისში გადასვლის პროცესში დაკარგა.

3.3 მხარეთა შეთანხმების მიხედვით, ადვოკატს ქეთინო არეშიძის ინტერესები უნდა დაეცვა სასამართლოში - მამის, გიორგი არეშიძის დანაშთ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის თაობაზე. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება მხოლოდ პირველ ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობას მოიცავდა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მხარეები ხელშეკრულებას გააფორმებდნენ ზემდგომ ინსტანციებში წარმომადგენლობისთვის. თავდაპირველად ადვოკატმა შესთავაზა კლიენტს, რომ დავა დაეწყოთ თანხის დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა ქეთინო არეშიძემ გადაწყვიტა, რომ მოეთხოვა უძრავი ქონებიდან წილი. ადვოკატისთვის და მისი კლიენტისთვის ცნობილი იყო, რომ დიდი ალბათობით სასამართლო სარჩელს არ დააკმაყოფილებდა. სამოქალაქო საქმის პარალელურად, ადვოკატმა მიმართა საგამოძიებო ორგანოს სისხლის სამართლის საქმის დაწყების მიზნით, კერძოდ ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

3.4 2018 წლის 20 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების გამოცხადებას ვერ დაესწრო ქეთინო არეშიძე, ასევე სხდომაზე არ იმყოფებოდა ადვოკატიც, რადგან გზაზე არსებული საცობის გამო 5 წუთით შეაგვიანდა. შესაბამისად, მისთვის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის შინაარსი უცნობი იყო. 2018 წლის 27 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა დამატებითი გადაწყვეტილება მოსარჩელე მხარისთვის მოპასუხე მხარის ადვოკატისთვის გადახდილი ჰონორარის დაკისრების თაობაზე, რომელიც სასამართლომ დააკმაყოფილა.

3.5 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განმარტა, რომ 2020 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების გამოცხადებიდან დაახლოებით 2 კვირაში ადვოკატი ლამარა ბარკალაია ესაუბრა ქეთინო არეშიძეს და ჰკითხა თუ ჰქონდა გადაწყვეტილების გასაჩივრების სურვილი. ქეთინო არეშიძემ უთხრა, რომ ბაჟის თანხა არ ჰქონდა, მაგრამ სურდა ფორმალურად გაესაჩივებინა გადაწყვეტილება. ადვოკატის განმარტებით, როგორც კი გადაწყვეტილება მზად იქნებოდა, ჩაიბარებდა მას და სააპელაციო წესით გაასაჩივრებდა.

3.6 2018 წლის 20 მარტიდან 30 დღის მანძილზე ადვოკატი ლამარა ბარკალაია გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით არაერთხელ იყო მისული სასამართლოში და არაერთხელ დაურეკა მოსამართლის თანაშემწეს, თუმცა თანაშემწე ეუბნებოდა, რომ გადაწყვეტილება არ იყო მზად. ადვოკატი ასევე ეცნობოდა სასამართლოს ელექტრონულ პროგრამაზე ატვირთულ

დოკუმენტაციას, სადაც გადაწყვეტილება გამოცხადებიდან 30 დღის განმავლობაში არ იყო ატვირთული. სასამართლოს ელექტრონულ პროგრამას ასევე ამოწმებდა ქეთინო არეშიძე.

3.7 2018 წლის 07 მაისს, ადვოკატი ლამარა ბარკალაია დაუკავშირდა მოსამართლის თანაშემწეს, რომელმაც უთხრა, რომ გადაწყვეტილება მომზადებული იყო და 2018 წლის 08 მაისს ადვოკატმა გადაწყვეტილება ჩაიბარა. დამატებითი გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით მოსამართლის თანაშემწე დაუკავშირდა ადვოკატს 2018 წლის 16 მაისს. ადვოკატმა დამატებითი გადაწყვეტილება 17 მაისს ჩაიბარა, რა დროსაც განუმარტეს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2020 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა გასული იყო. ლამარა ბარკალაიას განმარტებით, მას გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით არ ჰქონდა სასამართლოში წერილობითი სახით განცხადება წარდგენილი. სასამართლომ კი გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან ათვალა. შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრების ბოლო დღე 3 მაისი იყო.

3.8 ადვოკატმა საჩივრით მიმართა თბილისის სააპელაციო სასამართლოს იმ მოტივაციით, რომ გასაჩივრების ვადის გაშვება მომჩივანი მხარისგან დამოუკიდებლად მოხდა. კერძოდ, თბილისის საქალაქო სასამართლომ გაუშვა გადაწყვეტილების მომზადების 30 დღიანი ვადა. მიუხედავად ამისა, თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 7 ივნისის განჩინებით აღნიშნული საჩივარი არ დააკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლომ განჩინებაში მიუთითა, რომ მხარეს შეეძლო გაესაჩივრებინა გადაწყვეტილება, თუმცა ადვოკატისთვის წარმოუდგენელია იმ გადაწყვეტილების გასაჩივრება, რომლის შინაარსობრივი მხარე და შედეგი მხარემ არ იცის.

3.9 ადვოკატის განმარტებით, იმ გარემოების დასამტკიცებლად, რომ მან რამდენჯერმე დაურეკა მოსამართლის თანაშემწეს, განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს, 20 მარტიდან 8 მაისამდე პერიოდის განმავლობაში მისი კუთვნილი ნომრიდან მოსამართლის თანაშემწის შიდა ტელეფონზე დაფიქსირებული ზარების რაოდენობის თაობაზე.

3.10 ადვოკატი უარყოფს თავის ბრალეულობას და თვლის, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის გასვლა გამოწვეულია თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ბრალეულობით, კერძოდ, გადაწყვეტილების დროულად მოუმზადებლობის მიზეზით. ადვოკატს არასდროს ჰქონია შემთხვევა, როდესაც სასამართლოს გადაწყვეტილება არ გადაუცია დადგენილ ვადაში და მას გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით განცხადებით არასდროს მიუმართავს სასამართლოსთვის. ადვოკატის განმარტებით, საპროცესო კოდექსში არ არის ნორმა, რომელიც ავალდებულებს მხარეს განცხადების დაწერას გადაწყვეტილების ჩაბარების მიზნით, ნორმაში წერია „გამოცხადება“, რაც ადვოკატმა შეასრულა და არაერთხელ მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილიების ჩაბარების მოთხოვნით.

3.11 ადვოკატის განმარტებით, ის დაჰპირდა ქეთინო არეშიძეს თანხის დაბრუნებას, რადგან არ სურდა კონფლიქტური სიტუაცია და ურთიერთობის დაძაბვა. ადვოკატი თანახმა იყო ყოველთვიურად 500 ლარის გადახდით დაებუნებინა შეპირებული თანხა, თუმცა თანხა არ გადასცა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ თანხას გადასცემს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

3.12 ადვოკატის განცხადებით, დისციპლინური წარმოება გულისხმობს ინდივიდუალური ბრალეულობის საფუძველზე შესაბამისი დისციპლინური პასუხისმგებლობის გავრცელებას,

ადვოკატი თვლის, რომ ზემოთ დასახელებული მიზეზების საფუძველზე მისი ინდივიდუალური ბრალეულობა არ იკვეთება.

4. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

4.1 2020 წლის 28 თებერვალს, საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლამარა ბარკალაიას მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

4.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატმა ლამარა ბარკალაიამ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით დაგვიანებით წარადგინა სააპელაციო საჩივარი, რის გამოც მხარეს წაერთვა გასაჩივრების უფლება და არ მიეცა საშუალება ზემდგომ ინსტანციებში ამოეწურა დავის ყველა შესაძლებლობა. საპროცესო კოლეგიამ განმარტა, რომ მსგავსი მოქმედებები ზიანს აყენებს კლიენტს, ხოლოდ ამ შედეგის დადგომაში ადვოკატის ბრალეული მოქმედება ზიანს აყენებს ადვოკატთა პროფესიას.

4.3 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ არსებობს ადვოკატ ლამარა ბარკალაიას ქმედებებში ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა) და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5 მუხლის შესაძლო დარღვევის ნიშნები.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფაქტები:

5.1 განხილვის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი ფაქტები, რომლებიც უდაოა მხარეთა შორის:

5.1.1 2017 წელს, საჩივრის ავტორმა ქეთინო არეშიძემ ადვოკატ ლამარა ბარკალაიას მიმართა სამემკვიდრეო სამართლებრივ დავაში დახმარების მიღების მიზნით. მხარეთა შეთანხმებით, ადვოკატ ლამარა ბარკალაიას ქეთინო არეშიძის ინტერესების დაცვის მიზნით სარჩელით უნდა მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოსთვის, ქეთინო არეშიძის მამის დანაშთ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობის მოთხოვნით.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა მხარეთა ახსნა-განმარტებას (პარ. 1.2. პარ. 3.3).

5.1.2 2018 წლის 20 მარტს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით ქეთინო არეშიძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა. გადაწყვეტილების გამოცხადებას არ ესწრებოდა ქეთინო არეშიძე და ასევე არ ესწრებოდა ადვოკატი, რადგან სხდომაზე დააგვიანდა. თუმცა, გადაწყვეტილების შედეგი ცნობილი იყო დისციპლინური საქმის მონაწილე მხარეებისთვის, რადგან სხდომაზე იმყოფებოდა ქეთინო არეშიძის მამიდა და ადვოკატ ლამარა ბარკალაიას სტაჟიორები.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- *მხარეთა ახსნა-განმარტებას (პარ. 1.4; პარ. 3.5) ;*
- *მოწმე ა. ა.-ს განმარტება (პარ. 2.2).*

5.1.3 საჩივრის ავტორისთვის და ადვოკატისთვის ცნობილი იყო, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისთვის დადგენილი ვადა გადიოდა 2018 წლის 03 მაისს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა მხარეთა ახსნა-განმარტებას (პარ. 1.5; პარ. 3.7).

5.1.4 ადვოკატმა ლამარა ბარკალაიამ გადაწყვეტილების გამოცხადებიდან დაახლოებით 2 კვირის შემდეგ ქეთინო არეშიძესთან სატელეფონო საუბრით შეიტყო, რომ საჩივრის ავტორს სურდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების გასაჩივრება ფორმალურად, რადგან არ ჰქონდა ბაჟის თანხა. ადვოკატი ქეთინო არეშიძეს დაჰპირდა სააპელაციო საჩივრის წარდგენას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა ადვოკატის ახსნა-განმარტებას (პარ. 3.5).

5.1.5 ადვოკატმა ლამარა ბარკალაიამ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება ჩაიბარა 2018 წლის 08 მაისს. გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადის ათვლა კი დაიწყო 2018 წლის 20 აპრილიდან და ამოიწურა 2018 წლის 03 მაისს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- *ადვოკატის ახსნა-განმარტებას (პარ. 1.4; პარ. 3.5) ;*
- *თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განჩინება;*
- *საქართველოს უზენაესი სასამათლოს 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინება;*

5.1.6 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება ელექტრონულ საქმის პროგრამაში ატვირთული იყო კანონით დადგენილ ვადაში - 2018 წლის 17 აპრილს, ხოლო ქეთინო არეშიძის მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების ასლი ჩაიბარა 2018 წლის 30 აპრილს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- *თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განჩინება;*
- *საქართველოს უზენაესი სასამათლოს 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინება.*

5.1.7 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებაზე ქეთინო არეშიძის წარმომადგენელმა ლამარა ბარკალაიამ სააპელაციო საჩივარი წარადგინდა 2018 წლის 17 მაისს. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განჩინებით, ქეთინო არეშიძის წარმომადგენლის ლამარა ბარკალაიას მიერ კანონით დადგენილი ვადის დარღვევით წარდგენილი სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველი. ადვოკატმა ლამარა ბარკალაიამ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განჩინების გაუქმებისა და ქვემდგომის სასამართლოსთვის სააპელაციო საჩივრის დასაშვებობის ეტაპიდან განსახილველად დაბრუნების მოთხოვნით კერძო საჩივარი წარადგინა საქართველოს უზენაესს სასამართლოში. უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინებით ქეთინო არეშიძის კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო პალატის 2018 წლის 31 მაისის განჩინება.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
- *თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განჩინება;*

- *საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინება.*

5.2 საქმეში სადავო გარემოებაა ადვოკატ ლამარა ბარკალაიასა და ქეთევან არეშიძეს შორის მომსაურების ფარგლებზე შეთანხმება, ვინაიდან საჩივრის ავტორის განმარტებით ადვოკატს მისი ინტერესების დაცვა უნდა განეხორციელებინა სამივე ინსტანციის სასამართლოში, ხოლოდ ადვოკატის განმარტებით მათ შორის არსებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა, მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში მომსახურებას.

საქმეში არ არის წარმოდგენილი ხელშეკრულება, რომელზეც ადვოკატი მიუთითებს. შესაბამისად, მხარეთა ურთიერთსაწინააღმდეგო განმარტებებითა და მტკიცებულებათა არ არსებობის პირობებში, არ ირკვევა ურთიერთობის დაწყების პროცესში საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის კონკრეტული მომსახურების ფარგლებზე შეთანხმება. თუმცა, სადავო გარემოების მიუხედავად, საქმეში წარმოდგენილი უდავო გარემობით, ადვოკატმა იკისრა ვალდებულება გაესაჩივრებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება (პარ. 5.1.5) და წარადგინა სააპელაციო საჩივარი (პარ. 5.1.7). შესაბამისად, იმ პირობებშიც, თუ მხარეები სამივე ინსტანციის სასამართლოში წარმომადგენლობის განხორციელების თაობაზე არ იყვნენ შეთანხმებული ურთიერთობის დაწყების პროცესში, ადვოკატის შემდგომი აქტიური მოქმედებებით - სააპელაციო საჩივრის და კერძო საჩივრის წარდგენითა, ადვოკატმა თანხმობა გამოხატა ქეთინო არეშიძის ინტერესების ზემდგომ ინსტანციებში დაცვაზე.

6. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, შეისწავლა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლამარა ბარკალაიას მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1 ადვოკატმა ლამარა ბარკალაიამ ქეთინო არეშიძის ინტერესების დაცვის დროს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების გასაჩივრების მიზნით სააპელაციო საჩივარი არ წარადგინა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილ ვადაში, რის გამოც დაარღვია შემდეგი ნორმები:

> ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 5(ა) - ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.
>
> ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.5 - ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

7.2 კლიენტის ინტერესების დაცვის დროს ადვოკატმა უნდა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ცოდნა და უზრუნველყოს კლიენტის სათანადო წესით დაცვა საქმისათვის მნიშნელოვანი მტკიცებულებების მოპოვებისას, დოკუმენტაციის შედგენის პროცესში შინაარსობრივი და ფორმალური მოთხოვნების გათვალისწინებით, სხვადასხვა ორგანოებსა თუ დაწესებულებებში კლიენტის წარმომადგენლობისას. ადვოკატის არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი მოქმედებები იწვევს ადვოკატის მიმართ დადგენილი ეთიკური

მოთხოვნების დარღვევას, რაც თავის მხრივ ტოვებს კლიენტს დაუცველს და ეჭვქვეშ აყენებს ადვოკატის პროფესიის სანდოობას.

7.3 „საადვოკატო საქმიანობა, ადვოკატის მოვალეობები, და კლიენტის ინტერესების დაცვა არ მოიცავს მხოლოდ კლიენტის ფორმალურ წარმომადგენლობას სასამართლოში. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე, ადვოკატი ვალდებულია გამოიყენოს მის დასაცავად ყველა საშუალება, რაც არ არის აკრძალული კანონით და პროფესიული ეთიკის ნორმებით, მათ შორის მოამზადოს საქმე სასამართლოზე განსახილველად და მოიპოვოს საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებანი, განახორციელოს კანონით გათვალისწინებული ქმედება ამ სახის მტკიცებულების მოპოვებისა და სასამართლოში წარდგენისათვის“ (ეთიკის კომისიის 2010 წლის 23 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე №066/10).

7.4 ეთიკის კომისიის მიერ დადგინდა, რომ ადვოკატმა ლამარა ბარკალაიამ კლიენტის წინაშე, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების გასაჩივრების ვალდებულება აიღო. გსაჩივრების მიზნებისთვის, ადვოკატი ვალდებული იყო განესაზღვრა გასაჩივრების ვადა და ემოქმედა ისე, რომ ეს ვადა არ გასულიყო. ადვოკატისთვის ცნობილი იყო, რომ გასაჩივრების ვადა 2018 წლის 03 მაისს იწურებოდა, მიუხედავად ამისა გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით გადაწყვეტილების გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა გვიანეს 30 დღისა ადვოკატმა არ მიმართა სასამართლოს წერილობითი განცხადებით და არ ჩაიბარა გადაწყვეტილება. ადვოკატს გადაწყვეტილების ჩაუბარებლობის მიზეზად მოჰყავს ის არგუმენტი, რომ სასამართლომ დაგვიანებით მოამზადა გადაწყვეტილება, რის გამოც საპროცესო კოდექსით განსაზღვრულ ვადაში არ ჰქონდა გადაწყვეტილების ჩაბარების შესაძლებლობა. აღნიშნულ არგუმენტს უპირისპირდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განჩინებასა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინებაში მითითებული მოტივაცია, სადაც აღნიშნულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება სასამართლო წარმოების ელექტრონულ სისტემაში ატვირთული იქნა 2018 წლის 17 აპრილს, რისი გაცნობის შესაძლებლობა მხარეებს განჩინების გამოქვეყნებიდან 24 საათის შემდეგ ჰქონდათ, ამასთან აღნიშნული გადაწყვეტილების საპროცესო ვადაში მომზადების ფაქტს ადასტურებს სამოქალაქო საქმეში არსებული ქეთინო არეშიძის მოწინააღმდეგე მხარის ხელწერილი, რომლის მიხედვით ირმა რუსიას წარმომადგენელმა თამარ მერლანმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 20 მარტის გადაწყვეტილების ასლი 2018 წლის 30 აპრილს ჩაიბარა.

7.5 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატ ლამარა ბარკალაიას, როგორც ქეთინო არეშიძის წარმომადგენელს ჰქონდა გადაწყვეტილების ჩაბარების შესაძლებლობა, ვინაიდან გადაწყვეტილება საპროცესო ვადის დაცვით იქნა მომზადებული. ამასთანავე, ქეთინო არეშიძის ინტერესების განხორციელების მიზნით ადვოკატს შესაძლებლობა ჰქონდა წარედგინა სააპელაციო საჩივარი, თუნდაც ფორმალური სახით, რომლის დაზუსტების და დასაბუთების შესაძლებლობა მას სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული ხარვეზის განჩინების საფუძველზე მიეცემოდა.

7.6 „საპროცესო ნორმები, როგორც ფორმალურ წესთა ერთობლიობა, იმ სავალდებულო მოთხოვნებს ადგენს, რომელთა შეცვლა არც სასამართლოს და არც მხარეთა მიხედულებაზე არაა დამოკიდებული. საპროცესო კანონმდებლობა, უფლებებთან ერთად, მხარეებს მოვალეობებსაც აკისრებს, მათი შეუსრულებლობა კი, იწვევს მხარისათვის არასასურველ სამართლებრივ შედეგს. (საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებები: №ას-

1033-2018, 30.10.2018წ; №ას-1025-986-2016, 13.01.2017წ; №ას-851-817-2016, 04.11.2016წ.). მაშინ, როდესაც სასამართლო წარმოების პროცესში მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, ეს უკანასკნელი არის ვალდებულია გაითვალისწინოს ის პროცესუალურ სამართლებრივი მოთხოვნები, რომლებსაც საპროცესო კოდექსი მხარეს უდგენს, რადგან კლიენტი ადვოკატს მისი ცოდნის და გამოცდილების გამო მიმართავს. პირველ რიგში, ადვოკატს მოეთხოვება იცოდეს/გაეცნოს ყველა იმ სავალდებულო მოთხოვნას, რომელიც მხარეს ზღუდავს წარმოების პროცესში, მეორე რიგში, კი ადვოკატმა სწორად უნდა განსაზღვროს პროცესუალურ მოთხოვნათა ხასიათი - მისი ფორმალური თუ შინაარსობრივი დაცვის კუთხით.

7.7 ეთიკის კომისია მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულების საფუძველზე აღნიშნავს, რომ ადვოკატმა ლამარა ბარკალაიამ ქეთინო არეშიძის ინტერესების დაცვის პროცესში არ გაითვალისწინა საპროცესო სამართლებრივი მოთხოვნები - გადაწყვეტილების ჩაბარებისა და გასაჩივრებისთვის დადგენილი აუცილებელი ფორმალური მოვალეობები, რომელთა დაუცველობით კლიენტს ქეთინო არეშიძეს მიადგა ზიანი, მას ზემდგომ ინსტანციებში საკუთარი ინტერესების დაცვის უფლება წაერთვა.

7.8 დისციპლინური გადაცდომისას ადვოკატისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის განსაზღვრის დროს კომისიამ „უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის საქმიანი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი დისციპლინური გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება, საქმე №098/17).

7.9 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის 2015 წლის 01 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №დს-შ/3-15).

7.10 ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში იღებს არსებულ პრაქტიკას. საქმეზე, სადაც ადვოკატმა არასაპატიო მიზეზით გაუშვა საკასაციო საჩივრისათვის დადგენილი ვადა და კლიენტს წაართვა გასაჩივრების უფლება, განხილვის კოლეგიამ ადვოკატის მიმართ გამოიყენა დისციპლინური სახდელი - გაფრთხილების სახით. (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2018 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №020/15). მოცემულ საქმეზეც, დისციპლინურ გადაცდომას წარმოადგენდა მხოლოდ კანონის 5(ა) და კოდექსის 8.5 მუხლების დარღვევა - ადვოკატის მიერ არაკვალიფიციური და არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება. ასევე, გაფრთხილება ჩაითვალა თანაზომიერ ღონისძიებად საქმეზე, სადაც ადვოკატმა გაუშვა საკასაციო საჩივრის წარდგენის ვადა და ამის შესახებ არ მიაწოდა ინფორმაცია კლიენტს (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2014 წლის 25 აპრილის გადაწყვეტილება, საქმე №080/13). ამ შემთხვევაში, ადვოკატის მხრიდან დადასტურებულად ჩაითვალა ორი სახის დისციპლინური გადაცდომის ჩადენა - არაკვალიფიციური/არაკეთილსინდისიერი წარმომადგენლობა და ინფორმაციის მიუწოდებლობა.

7.11 დისციპლინური სახდელის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისია ასევე ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატს არ აქვს დადებული რაიმე სახის გაუქარწყლებელი სახდელი, რომელიც ადვოკატის მიმართ დისციპლინური ღონისძიების შერჩევისას შემამსუბუქებელ გარემოებას წარმოადგენს. თუმცა, დამამძიებელ გარემოებად ითვლება ის ფაქტი, რომ ეთიკის კომისიაში დისციპლინური საქმის წარმოების მსვლელობის განმავლობაში ადვოკატმა გადაცდომა არ აღიარა. განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვით ვერ იქნება მიღწეული დისციპლინირების მიზანი და დადგენილი დარღვევიდან გამომდინარე, პროპორციულ დისციპლინურ სახდელად უნდა ჩაითვალოს გაფრთხილება.

7.12 ეთიკის კომისიამ მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა მსგავსი ტიპის დისციპლინური გადაცდომების მიმართ და მიაჩნია, რომ ადვოკატის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს დისციპლინური სახდელი - გაფრთხილება.

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32.1, 34.1(ა), 35-ე მუხლებით, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 39.4, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №143/19 ადვოკატ ლამარა ბარკალაიას მიმართ /სიითი №4052/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ადვოკატ ლამარა ბარკალაიას უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში ეთიკის კომისიაში საჩივრის შემოტანის გზით დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე /

კოლეგიის წევრი: ცისმარი ონიანი/